ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180782378**

თარიღი: **19.03.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი

დავით ალექსანაშვილი

პირადი ნომერი: 01027009930

მისამართი: თბილისი ევ.მაისურაძის ქ. N 11 კორ. 2 ბ. 48

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს წარედგინა AR1561819 განცხადება, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გახოკიძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.19.005.003) ფუნქციური ზონის ცვლილების მოთხოვნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს; ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის მერი თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს;

„ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს შესაბამისი თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდება ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, გარდა ამ დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განხილულ იქნა თქვენი AR1561819 განცხადება, სადაც თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ: №01.19.19.005.003) ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე მიეცა უარყოფითი შეფასება.

გიგზავნით აღნიშნულ გადაწყვეტილებას დანართის სახით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 18.63.199
7 / მარტი / 2018 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი:

ა) №AR1557264 განაცხადით თედო ხარჩილავამ (პ/ნ 19001101540) მოითხოვა სამრეწველო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ს. მელიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.33.015.128; 913 კვ.მ);

ბ) №AR1559535 განაცხადით ინგა ბუღაძემ (პ/ნ 38001037757) მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საცხოვრებელ ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ჭავჭავაძის ქ. N13ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.07.008.036) მიმდებარე ტერიტორიაზე;

გ) №AR1549878 განაცხადით ილია პოპიაშვილმა (პ/ნ 01030023361) მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩა N47-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.033.037) მიმდებარე ტერიტორიაზე (14 კვ.მ);

დ) №AR1554986 განაცხადით მარიამ პაპუკაშვილმა (პ/ნ 01008044858) მოითხოვა საცხოვრებელი ზონა 3-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში“ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.941) (97 კვ.მ);

ე) №AR1557098 განაცხადით ეკატერინე დადიანმა (პ/ნ 62001026026) მოითხოვა საცხოვრებელი ზონა 6-ის სატრანსპორტო ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნაკვეთი (10/014), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.13.010.014) ნაწილზე (685 კვ.მ);

ვ) №AR1557764 განაცხადით ლაშა ჯიხვაშვილმა (პ/ნ 01004006087) მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ კიკეთში, დიდგორის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: № 81.01.01.559) და მიმდებარე ტერიტორიაზე (970 კვ.მ);

ზ) №AR1549633 განაცხადით თამარ კვაჭაძემ (პ/ნ 01009023127) მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.06.670) მიმდებარე ტერიტორიაზე (53 კვ.მ);

თ) №AR1561819 განაცხადით დავით ალექსანაშვილმა (პ/ნ 01027009930) მოითხოვა სპეციალური ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გახოკიძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.003) (1040 კვ.მ);

ი) №AR1559698 განაცხადით თამაზ აბაშიძემ (პ/ნ 01013013021) მოითხოვა საცხოვრებელი ზონა 3-ის

საქართველო, თბილისი, 0160, გ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ლუბლიანას ქუჩა N52-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.018.234) (2242 კვ.მ);

კ) №AR1559841 განაცხადით ფრიდონ აბესაძემ (პ/ნ 35001008650) მოითხოვა საცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ლილოს სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N 01.19.15.006.048, 01.19.15.006.038) და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (3334 კვ.მ);

ლ) №AR1560967 განაცხადით დავით სოლოღაშვილმა (პ/ნ 01030008149) მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.21.11.037) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (184 კვ.მ);

მ) №AR1561137 განაცხადით მამუკა კაპანაძემ (პ/ნ 01029014924) მოითხოვა საცხოვრებელი ზონა 6-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, III მასივში, VII კვარტალში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ (ნაკვ. 24/002) / ქალაქ თბილისში, III მასივში, VII კვარტალში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 24/062) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.950) ნაწილზე (ფართობი: 1150 კვ.მ);

ნ) №AR1561399 განაცხადით ნინო ნაპირელმა (პ/ნ 01023005920) მოითხოვა საცხოვრებელი ზონა 3-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მალხაზოვის შესახვევში, მანავის ქ. №6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.656, ფართობი: 210 კვ.მ);

ო) №AR1561450 განაცხადით ლაშა ჩოხელმა (პ/ნ 01004007267), ლიანა ბაღაშვილმა (პ/ნ 01014005774), ზაირა მოსიაშვილმა (პ/ნ 10001017251), ლია ქსოვრელმა (პ/ნ 01011065782), ნათია ნიკაჭაძემ (პ/ნ 01317059589), ციალა ბუაძემ (პ/ნ 01014006306), ლევან ჯეთერიშვილმა (პ/ნ 25001006828), მარიამ ჭუმბურიძემ (პ/ნ 59001013829), ნელი ბუქურმა (პ/ნ 01011007341), ირმა ჩიტიშვილმა (პ/ნ 01014005687), კაკო ოღაძემ (პ/ნ 01014004714), ნაირა აბუაშვილმა (პ/ნ 01014007245) და ნანი თეზელაშვილმა (პ/ნ 01011011683) მოითხოვეს საცხოვრებელი ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რთველაძის ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.027.001), ქ. თბილისში, რთველაძის ქუჩა №16, №18, №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.17.12.027.002, №01.17.12.027.025, №01.17.12.027.022) და მათ მიმდებარედ (ფართობი: 3516 კვ.მ);

პ) №AR1566006 განაცხადით რატი ბუსკივაძემ (პ/ნ 21001001983) მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, ექვთიმე თაყაიშვილის III ჩიხი №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.97.393, №81.01.01.366, №81.01.01.367 ფართობი: 3100 კვ.მ);

ჟ) №AR1561632 განაცხადით მანანა მაისურაძემ (პ/ნ 59002002245), პაატა კურტანიძემ (პ/ნ 01024002260), ქეთევან დეკანოზიშვილმა (პ/ნ 01011036695) და მიხეილ სოფრომაძემ (პ/ნ 21001009809) მოითხოვეს სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, „დიდ დიღომში" არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.672; №01.72.14.035.669; №01.72.14.035.671; №01.72.14.035.167; №01.72.14.035.820; №01.72.14.035.821) და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე (ფართობი: 336 კვ.მ);

რ) №AR1561890 განაცხადით ვლადიმერ რობაქიძემ (პ/ნ 01005018491) მოითხოვა საცხოვრებელი ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ხევსურეთის ქუჩა №14-ში და ქალაქ თბილისში, ხევსურეთის ქუჩა №14ა-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.12.12.030.016, №01.12.12.030.010) ნაწილზე (ფართობი: 501 კვ.მ);

ს) №AR1564029 განაცხადით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოითხოვა

სარეკრეაციო ზონა 2-ის სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.108) ნაწილზე (ფართობი: 3850 კვ.მ);

ტ) №AR1563592 განაცხადით ლევან ჩახუამ (პ/ნ 01027026917) მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის მიმდებარედ (ნაკვ. 154/001) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.154.016) ნაწილზე (ფართობი: 667 კვ.მ);

უ) №AR1567714 განაცხადით თამაზ სხირტლაძემ (პ/ნ 01013007946) მოითხოვა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.09.008.195, №01.14.09.008.193, №01.14.09.008.100, №01.14.09.008.182, ფართობი: 4001 კვ.მ);

ფ) №AR1567935 განაცხადით თინათინ შამუგიამ (პ/ნ 62006000154) მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.248, ფართობი: 1000 კვ.მ);

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, მელიას ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.19.33.015.128) სამრეწველო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთს არ ეშიჯნება საცხოვრებელი ზონა 1 და მთლიანად მოქცეულია სამრეწველო ზონა 1-ის ფარგლებში. შესაბამისად, ცალკეულ მიწის ნაკვეთზე ზონის ცვლილება დაუშვებელია, რომ არ გახდეს შემდგომში პრეცედენტული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეულ მიწის ნაკვეთზე, ფრაგმენტულად, ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილი არ არის და მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.128) სამრეწველო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით არ არის მისაღები;

ბ) ქალაქ თბილისში, ოქროყანაში, გავგავაძის ქ. N13ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.008.036) მიმდებარედ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით დაუსაბუთებელია, ვინაიდან ფუნქციური ზონის კონტური ლოგიკურად მიუყვებოდა საკადასტრო საზღვარს. მესაკუთრის მიერ განხორციელდა ღობის მშენებლობა, რასაც მოჰყვა საკადასტრო საზღვრების ცვლილება და შემდგომში მოთხოვნა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.008.036) ნაწილზე ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის ცვლილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქის ქმედებით გამოწვეული შეუსაბამობა ვერ გახდება სამსახურისთვის პრეცენდენტული. შესაბამისად, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით არის მიუღებელი;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩა N47-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.037) მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით. აღნიშნულ ტერიტორიაზე ერთხელ უკვე განხორციელდა ფუნქციური ზონის ცვლილება (ტზ-1 შეიცვალა სზ-3-ით). ვინაიდან, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთხელ უკვე შეიცვალა საკადასტრო საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1 საცხოვრებელი ზონა 3-ით, რითაც დაირღვა ერთიანი კონტური არსებულ ზონებს შორის და შეიქმნა ცუდი პრეცედენტი, საკადასტრო საზღვრებს გარეთ სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით და შეუსაბამობის გაზრდა არ არის მისაღები;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში" არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.094.941) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 და მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 3. მოთხოვნილი ზონის ცვლილება მიუღებელია, ვინაიდან აღნიშნული ცვლილებით დაირღვევა ზონებს შორის ერთიანი ლოგიკური კონტური და მიმდებარე ტერიტორიებისთვის შექმნის პრეცედენტს. რეალურად დაირღვევა ბალანსი საზოგადოებრივ-საქმიან ზონასა და საცხოვრებელ ზონას შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.094.941) საცხოვრებელი ზონა 3-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით არ არის მიზანშეწონილი;

ე) ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.010.014) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით, შემდგომში დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად დარეგისტრირებისა და სამშენებლოდ განვითარების მიზნით. ვინაიდან, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.010.014) მიმდებარე ტერიტორიაზე საკადასტრო საზღვრები ცუდი კონფიგურაციით არის დარეგისტრირებული და მსგავსი გამიჯვნით ტერიტორია გახდება კიდევ უფრო ჭაოტური. ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი გადაწყვეტის ფარგლებში, შესაბამისი ფუნქციური ზონების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ზონა 6-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით მიზანშეწონილი არ არის;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №81.01.15.067) და მიმდებარე ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით სამსაუხურს დაუშვებლად მიაჩნია, რადგან წარმოადგენს ბუნებრივად გამწვანებულ ერთიანი ლანდშაფტის ნაწილს, რომლის ცვლილების შემდგომ, შესაძლებელი გახდება აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება, რაც ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება მიმდებარე ტერიტორიებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №81.01.15.067) და მიმდებარე ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით არ არის მისაღები;

ზ) ქალაქ თბილისში, კოჯორში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.06.670) მიმდებარედ ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივად გამწვანებული ერთიანი ლანდშაფტის ნაწილს, რომლის ცვლილების შემდგომ, შესაძლებელი გახდება აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება, რაც ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება მიმდებარე ტერიტორიებისთვის, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.20.041) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება არ არის მისაღები;

თ) ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 1070 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.003) და მის მიმდებარედ ვრცელდება სპეციალური ზონა 1. ნაკვეთს ორი მხრიდან ემიჯნება ცენტრალური საავტომობილო გზა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ფიქსირდება მწვანე საფარი და მცირე რაოდენობით ხე-ნარგავები, სადაც ტექნიკური სარვეზის გამო არ აქვს მინიჭებული ფუნქციური ზონა. მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით. აღნიშნულ არეალში, ცალკეულ მიწის ნაკვეთზე განყენებულად ზონის ცვლილება გამოიწვევს ფუნქციური ზონის მთლიანობის რღვევას და პრეცენდენტის გაჩენას. მოთხოვნის შესაბამისად, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 გულისხმობს შესაბამის ინფრასრუქტურულ განვითარებას მაღალი ინტენსივობით, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე, ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით, დაუშვებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამრეწველო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით მიუღებელია;

ი) ქალაქ თბილისში, დიღომში, ლუბლიანას ქუჩა N52-ში არსებულ 2 242 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.013.01.018.234) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით, შესაბამისი სამშენებლო პარამეტრებით გამოყენების მიზნით. აღნიშნულ ტერიტორიას ესაზღვრება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით მიმდინარე სამშენებლო არეალი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.013.01.018.234) საცხოვრებელი ზონა 3-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით მიუღებელია, ვინაიდან მოხდება ტერიტორიის უფრო მეტად გადატვირთვა. შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებაზე მსჯელობა უნდა მოხდეს ერთიანი კონცეფციის ფარგლებში;

კ) ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე არსებულ ორ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.19.15.006.048; №01.19.15.006.038) და მათ მიმდებარედ მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის ცვლილება სამრეწველო ზონა 2-ით. მიწის ნაკვეთები მოქცეულია ჩრდილოეთით გავრცელებული საცხოვრებელი ზონის არეალში და სამხრეთით გამოდის საავტომობილო გზაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიას აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრება სამრეწველო ზონა 2 და არის ჩამოუყალიბებელი სამშენებლო არეალი, არ არის მიზანშეწონილი დღევანდელი

მოცემულობით საცხოვრებელი ზონის ცვლილება სამრეწველო ზონა 2-ით, რომლითაც დაშვებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე საწარმო პროცესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ზონის ცვლილება სამრეწველო ზონა 2-ით სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად;

ლ) ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №81.21.11.037) მისასვლელი გზის მოწყობის მიზნით, მოთხოვნილია ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის ცლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით. განაშენიანებულ ტერიტორიას ესაზღვრება ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის ფართო არეალი, მწვანე ნარგავების ზოლით. სატრანსპორტო ზონით ცვლილება გახდება პრეცენდენტი სხვა მესაკუთრეების მხრიდან ანალოგიური მოთხოვნის დაყენებაზე და მოხდება გამიჯნულ მიწის ნაკვეთებთან მისასვლელების ქაოტური მოწყობა. ვინაიდან, არსებული მდგომარეობით, მიწის ნაკვეთები ქაოტურად გაიმიჯნა და დარჩა მისასვლელი გზის გარეშე, შესაბამისად, ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის ცვლილება და მთლიანობის რღვევა სატრანსპორტო ზონა 1-ით არის მიუღებელი;

მ) ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, III მასივში, VII კვარტალში, კორპუსი N5-ის მიმდებარედ (ნაკვ. 24/002) / ქალაქ თბილისში, III მასივში, VII კვარტალში, კორპუსი N5-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 24/062) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.950, ფართობი: 2 865 კვ.მ) ნაწილზე, კერძოდ, 1150 კვ.მ-ზე, მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით. აღნიშნულ ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება კალაუბნის ქუჩა და ოთხივე მხრიდან საავტომობილო გზებით არის შემოფარგლული. ფუნქციური ზონების კონტური ლოგიკურად ვრცელდება მთელ პერიმეტრზე და ცვლილება გამოიწვევს მთლიანობის დარღვევას, ქაოტური განვითარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ზონა 6-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით დაუსაბუთებელია და არ არის მისაღები;

ნ) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მალხაზოვის შესახვევში, მანავის ქ. №6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.656, ფართობით 210 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს დასავლეთით ესაზღვრება მანავის ქუჩა, ხოლო, სხვა დანარჩენ მხარეს - ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. მოცემულ ტერიტორიაზე და მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება ერთიანი, ლოგიკურ კონტურში მოქცეული საცხოვრებელი ზონა 3, რომლის ცალკეულ ნაწილად ცვლილება მიუღებელია, ვინაიდან დაირღვევა მთლიანობა და გახდება პრეცედენტული მიმდებარე ტერიტორიებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ზონა 3-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით მიუღებელია;

ო) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რთველაძის ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.027.001), ქ. თბილისში, რთველაძის ქუჩა №16, №18, №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.17.12.027.002, №01.17.12.027.025, №01.17.12.027.022) და მათ მიმდებარედ (ფართობი: 3516 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით. აღნიშნულ და მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე, ერთიან პერიმეტრზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა, დაბალი ინტენსივობის ინდივიდუალური განაშენიანებით. ხოლო, მოპირდაპირე მხარეს ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2. საცხოვრებელი ზონა ვრცელდება ერთიან პერიმეტრზე და ფუნქციური ზონის ცვლილება გამოიწვევს მთლიანობის დარღვევას, რაც, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიუღებელია. ასევე, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით მოშენებული არეალის მაღალი ინტენსივობით განვითარება, ქალაქგეგმარებითი კუთხით, მიზანშეწონილი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ზონის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით მიუღებელია;

პ) ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, ექვთიმე თაყაიშვილის III ჩიხი №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.97.393, №81.01.01.366, №81.01.01.367, ფართობი: 3100 კვ.მ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება. აღნიშნული და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ერთიან, აქტიურად გამწვანებულ ბუნებრივ ლანდშაფტს. მისი ტერიტორიიდან ხელოვნურად გამოყოფა მიუღებელია და პრეცედენტული გახდება მიმდებარე ტერიტორიებისთვის. ტერიტორიის სამშენებლოდ

განვითარება და შემდგომში შესაბამისი საავტომობილო და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა იქნება უხეში ჩარევა ლანდშაფტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება არ არის მისაღები;

ჟ) ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, „დიდ დიღომში" არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.672; №01.72.14.035.669; №01.72.14.035.671; №01.72.14.035.167; №01.72.14.035.820; №01.72.14.035.821) და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (ფართობი: 336 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით. მოცემული კონფიგურაციით ფუნქციური ზონის ცვლილება მიუღებელია, ვინაიდან, არსებული ზონები მოქცეულია ერთიან კონტურში და წარმოდგენილი სახით ცვლილება გამოიწვევს ერთიანობის რღვევას. ასევე, აღსანიშნავია, რომ მსგავსი სიტუაცია ფიქსირდება მიმდებარე ქუჩებზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეულ მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით მიუღებელია;

რ) ქალაქ თბილისში, ხევსურეთის ქუჩა №14-ში და ქალაქ თბილისში, ხევსურეთის ქუჩა №14ა-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.12.12.030.016, №01.12.12.030.010) ნაწილზე (ფართობი: 501 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით. მოცემული ტერიტორია განაშენიანებულია ინდივიდუალური საცხოვრებელებით და ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში აღნიშნული ტერიტორია განვითარდება ქაოტურად. რაც შეეხება მომიჯნავედ არსებულ საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს, მოცემული კონტური ვრცელდება ცენტრალური ქუჩის გასწვრივ (ც. დადიანის ქუჩა), სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი სივრცეებს აღნიშნული პერიმეტრისთვის გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ზონის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით მიუღებელია;

ს) ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.108) ნაწილზე (ფართობი: 3850 კვ.მ) მოთხოვნილია საკრერეაციო ზონა 2-ის ცვლილება სამრეწველო ზონა 2-ით. აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია ერთიან კონტურში. ცალკეულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება გამოიწვევს სარეკრეაციო ზონის რღვევას და პრეცედენტული გახდება მიმდებარე ტერიტორიებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარეკრეაციო ზონა 2-ის ცვლილება სამრეწველო ზონა 2-ით არ არის მისაღები;

ტ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის მიმდებარედ (ნაკვ. 154/001) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.154.016) ნაწილზე (ფართობი: 667 კვ.მ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით. აღნიშნული და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ერთიან, აქტიურად გამწვანებულ ბუნებრივ ლანდშაფტს და მისი ტერიტორიიდან ხელოვნურად გამოყოფა მიუღებელია. ასევე, აღნიშნული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.20.01.154.016, ფართობი: 5989042 კვ.მ) და მიმდებარე არეალი გაუნაშენიანებელია. შემდგომში ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება, რაც მოიცავს შესაბამისი საავტომობილო და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობას, იქნება უხეში ჩარევა ლანდშაფტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით არ არის მისაღები;

უ) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.09.008.195, №01.14.09.008.193, №01.14.09.008.100, №01.14.09.008.182, ფართობი: 4001 კვ.მ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით. ტერიტორია წარმოადგენს ბუნებრივად გამწვანებულ, ერთიანი ლანდშაფტის ნაწილს, რომლის ცვლილების შემდგომ, შესაძლებელი გახდება აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც იქნება უხეში ჩარევა ლანდშაფტში და შექმნის ცუდ პრეცედენტს მიმდებარე ტერიტორიებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით არ არის მისაღები;

ფ) ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.248, ფართობი: 1000 კვ.მ) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით. მოცემული არეალი გაუნაშენიანებელია და ტერიტორიაზე ზონის ცვლილება გამოიწვევს ლოგიკური კონტურის რღვევას, რაც შემდგომში პრეცედენტული გახდება და წარმოიქმნება

ქაოტური განაშენიანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეულ მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით არ არის მიზანშეწონილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ უნდა დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი განცხადებები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი დებულებების მე-14 მუხლისა და 23-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებას შემდეგ საკითხებზე:

ა) №AR1557264 განაცხადი - სამრეწველო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ს. მელიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.33.015.128) (913 კვ.მ);

ბ) №AR1559535 განაცხადი - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელ ზონა 1-ით ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ჭავჭავაძის ქ. N13ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.07.008.036) მიმდებარე ტერიტორიაზე;

გ) №AR1549878 განაცხადი - სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელ ზონა 3-ით ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩა N47-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.033.037) მიმდებარე ტერიტორიაზე (14 კვ.მ);

დ) №AR1554986 განაცხადი - საცხოვრებელი ზონა 3-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში" არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.941) (97 კვ.მ);

ე) №AR1557098 განაცხადი - საცხოვრებელი ზონა 6-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ნაკვეთი (10/014), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.13.010.014) ნაწილზე (685 კვ.მ);

ვ) №AR1557764 განაცხადი - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ კიკეთში, დიდგორის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №81.01.01.559) და მიმდებარე ტერიტორიაზე (970 კვ.მ);

ზ) №AR1549633 განაცხადი - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.06.670) მიმდებარე ტერიტორიაზე (53 კვ.მ);

თ) №AR1561819 განაცხადი - სპეციალური ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გახოკიძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.003) (1040 კვ.მ);

ი) №AR1559698 განაცხადი - საცხოვრებელი ზონა 3 -ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ლუბლიანას ქუჩა N52-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

№ 01.13.01.018.234) (2242 კვ.მ);

კ) №AR1559841 განაცხადი - საცხოვრებელი ზონის ცვლილება სამრეწველო ზონა 2-ით ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ლილოს სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.19.15.006.048, N01.19.15.006.038) და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (3334 კვ.მ);

ლ) №AR1560967 განაცხადი - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.21.11.037) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (184 კვ.მ);

მ) №AR1561137 განაცხადი - საცხოვრებელი ზონა 6-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, III მასივში, VII კვარტალში, კორპუსი N5-ის მიმდებარედ (ნაკვ. 24/002) / ქ. თბილისში, III მასივში, VII კვარტალში, კორპუსი N5-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 24/062) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.950) ნაწილზე (ფართობი: 1150 კვ.მ);

ნ) №AR1561399 განაცხადი - საცხოვრებელი ზონა 3-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მალხაზოვის შესახვევში, მანავის ქ. №6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.656, ფართობი: 210 კვ.მ);

ო) №AR1561450 განაცხადი - საცხოვრებელი ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, ისნის რაიონში, რთველაძის ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.027.001), ქ. თბილისში, რთველაძის ქუჩა №16, №18, №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.17.12.027.002, №01.17.12.027.025, №01.17.12.027.022) და მათ მიმდებარედ (ფართობი: 3516 კვ.მ);

პ) №AR1566006 განაცხადი - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში და ქ. თბილისში, სოფელ კიკეთში, ექვთიმე თაყაიშვილის III ჩიხი №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.97.393, №81.01.01.366, №81.01.01.367, ფართობი: 3100 კვ.მ);

ჟ) №AR1561632 განაცხადი - სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, „დიდ დიღომში" არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.672; 01.72.14.035.669; 01.72.14.035.671; 01.72.14.035.167; 01.72.14.035.820; 01.72.14.035.821) და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე (336 კვ.მ);

რ) №AR1561890 განაცხადი - საცხოვრებელი ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების თაობაზე ქალაქ თბილისში, ხევსურეთის ქუჩა №14-ში და ქალაქ თბილისში, ხევსურეთის ქუჩა №14ა-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.12.12.030.016, №01.12.12.030.010) ნაწილზე (ფართობი: 501 კვ.მ);

ს) №AR1564029 განაცხადი - სარეკრეაციო ზონა 2-ის სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.108) ნაწილზე (ფართობი: 3850 კვ.მ);

ტ) №AR1563592 განაცხადი - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, დაბა წყნეთის მიმდებარედ (ნაკვ. 154/001) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.154.016) ნაწილზე (ფართობი: 667 კვ.მ);

უ) №AR1567714 განაცხადი - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.09.008.195, №01.14.09.008.193, №01.14.09.008.100, №01.14.09.008.182, ფართობი: 4001 კვ.მ);

ფ) №AR1567935 განაცხადი - სასოფლო-სამეურნეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილების თაობაზე ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.248, ფართობი: 1000 კვ.მ).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე